საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ევროპეისტიკის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
___ _____ 2017 წ., №__ დადგენილებით,

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს
(სენატის) მიერ 6 ოქტომბერი 2017 წ.,
№10 დადგენილებით.

თბილისი
2017 წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

1.1. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში: „სტუ“) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2017 წლის № დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული ორგანიზაციული ერთეულია;

1.2. ინსტიტუტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ–ის წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.3. ინსტიტუტი წარმოადგენს ფაკულტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო რგოლს (ორგანიზაციულ ერთეულს), რომელიც მოდულების, საბაკალავრო საგანათლებლო პროგრამის მოკლე ციკლის ფარგლებში, აგრეთვე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში უზრუნველყოფს სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

1.4. ინსტიტუტი ფინანსდება ფაკულტეტის მიერ გათვალისწინებული სახსრებით. იგი შეიძლება დაფინანსდეს აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული მხარეების ევროპეისტიკის სფეროს განვითარებისათვის დაკვეთილი კვლევების (ნორმატიული აქტები, პროექტები, კონცეფციები, სახელმწიფო პროექტები და სხვ.) დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრებით;

1.5. ინსტიტუტი შუამდგომლობს ფაკულტეტისა და მისი მეშვეობით უნივერსიტეტის წინაშე საკვლევი პროექტების დამტკიცების და მათ შესასრულებლად შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

1.6. საჭიროების შემთხვევაში, ინსტიტუტს შეუძლია იშუამდგომლოს დადგენილი წესით უნივერსიტეტის წინაშე როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნის სპეციალისტების და ექსპერტების დროებითი მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

1.7. რექტორის, ვიცე-რექტორის, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) და ფაკულტეტის საბჭოს მოთხოვნით, შეიძლება ჩატარდეს ინსტიტუტის ანგარიშის რიგგარეშე მოსმენა და განხილვა.

თავი II. ინსტიტუტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. ინსტიტუტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით ინსტიტუტისათვის განსაზღვრულ საგნებში სილაბუსებისა და განრიგის შესაბამისად მეცადინეობების ჩატარებას. ქმნის ან/და მონაწილეობს ახალი საგანმანათმლებლო პროგრამების შექმნაში და არსებული პროგრამების მოდიფიცირებაში;

ბ) ამასთან დაკავშირებით:

ბა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ევროპისმცოდნეობის განხორციელებისას უზრუნველყოს:

1. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების, კონსტიტუციური წყობის, პოლიტიკური რეჟიმების ხასიათის, ხელისუფლების ყველა შტოს ფუნქციონირების, ცენტრისა და რეგიონის აგებულების კომპლექსური სწავლება;
2. ევროპის ქვეყნების ეროვნული ინტერესების, პრიორიტეტების, დოქტრინების, საგარეო პოლიტიკის მექანიზმების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საშინაო ფაქტორებთან მათი ურთიერთკავშირის, აგრეთვე სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემების სწავლება;
3. ევროინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების შესახებ თეორიული ცოდნის დანერგვა; ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მმართველობისა და სამართლებრივი სისტემის კომპლექსურად სწავლება;
4. ევროპის ფასეულობების, ევროპული იდენტობისა და ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობაზე თეორიული ცოდნის დანერგვა; სამართლის ნორმებისა და

ფასეულობების მოწინავეობის გააზრება; ბაკალავრის თეორიული და პრაქტიკული მომზადება ევროპისმცოდნეობის ევროპული მოვლენების ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროცესებზე ფართო ცოდნის მიცემა;

5. სტუდენტების მიერ ევროკავშირის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრობლემების ათვისება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების დინამიკის რეალურად აღქმა და ამ ურთიერთობების განვითარების პერსპექტივების სწორად განსაზღვრა; ევროკავშირის ინსტიტუციური პრობლემების დამოუკიდებლად გაგება და მასზე ლოგიკური დასკვნის გაკეთება;
6. ევროინტეგრაციის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის უნარისა და კომპეტენციის ათვისება; ევროპის წამყვანი ქვეყნების ეროვნული ინტერესების, პრიორიტეტების, დოქტრინების, გადაწყვეტილებების მიღების საგარეო პოლიტიკური მექანიზმების ცოდნა-გაცნობიერება; ევროპის მმართველობითი სისტემის სწავლება;
7. თანამედროვე ევროპის სხვადასხვა თემებისადმი ინტერგრაციული მიდგომის უნარის გამომუშავება; ევროპული იდენტობისა და ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობის გაცნობიერება; ევროპული ინსტუტუციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკის სპეციფიკის სწავლება;
8. ევროპული ინტეგრაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ევროპული ფასეულობების საქართველოს რეალობასთან მისადაგებისა და დანერგვის უნარი. ევროპული მოვლენების, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროცესების დადგენის უნარი; საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკის ადგილობრივ ჩარჩოში ინტერპრეტირება.

ბბ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ევროპისმცოდნეობის განხორციელებისას უზრუნველყოს:

1. სტუდენტის მიერ ინტეგრაციის თეორიებისა და მეთოდოლოგიების შესწავლა; მრავალპოლარული სისტემის ჩარჩოებში ევროპის როლის გაანალიზება; ევროპულ-ქართული იდენტობის მახასიათებლების კვლევა-ანალიზი; ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის პროცესების კომპლექსური შესწავლა; რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის მეთოდოლოგიის ცოდნის საფუძველზე გლობალურ საკითხებში მოცემული რეგიონის ადგილის განსაზღვრა;
2. ტრანსნაციონალიზაციის, რეგიონალიზმისა და მრავალდონიანი მმართველობის თანამედროვე მიდგომების შესწავლა; ინტეგრაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით ქართულ-ევროპული იდენტობის დამოუკიდებლად კვლევის უნარის განვითარება; მაგისტრანტებში ევროპის რეგიონის ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე სამართლებრივი, პოლიტიკური და კულტურული გავლენის საფუძვლიანად ჩამოყალიბება;
3. ევროკავშირის რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების არსში საფუძვლიანად გარკვევა; რეგიონული, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუტების კულტურულ–კომუნიკაციური სპეციფიკიცს ცოდნის საფუძველზე კულტურული ტრადიციებისა და ნორმების ზემომქმედი პროცესების კვლევა–ანალიზი; ევროინტეგრაციისა და რეგიონალიზმის კომპლექსურ პრობლემებზე კვლევის მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბება;
4. ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში ევროპული მოვლენების, განვითარებისა და პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტირება; ტრანსნაციონალიზაციის, რეგიონალიზმისა და მრავალდონიანი მმართველობის პრობლემების პროფესიულ დონეზე გამოყოფა და მიმართულებების განსაზღვრა; ევროპის რეგიონის ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და ჩამოყალიბებაზე სამართლებრივი, პოლიტიკური, რელიგიური განათლების გავლენის ხასიათისა ხარისხის გამოვლენა და დადგენა.

5. მსოფლიო რეგიონალიზმის საგნობრივი ველისა და მის ჩამოყალიბებაში უცხოური სამეცნიერო სკოლების წვლილის დადგენა; საერთაშორისო ინტეგრაციის თეორიის ჩარჩოებში პროფესიულ დონეზე კონკრეტული პრობლემების კვლევა–ანალიზი. უახლესი მეთოდების გამოყენებით ქართულ- ევროპული იდენტობის ევოლუციის ძირითადი დეტერმინანტების, ევროინტეგრაციისკენ მსვლელობის ხელსემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების სინთეზური ანალიზი;
6. ევროკავშირის რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა; ევროპული იდეების, თეორიების და პრაქტიკის პრობლემებზე თეზისის განვითარება და მის გადასაწყვეტად ადეკვატური გზის არჩევა; ევროპული ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკის საფუძვლიანად წარმოდგენა და ადგილობრივ პროცესებში მისი ადგილის განსაზღვრა; რეგიონული ინტეგრაციის ისტორიული განვითარების კანონზომიერებისა და ძირითადი ტენდენციების ახსნა;
7. ევროკავშირის განვითარებისა და ინტეგრაციის პროცესების კომპლექსურად წარმოდგენა და უარყოფითი და დადებითი მხარეების გამოყოფა; ინტეგრაციასა და რეგიონალიზმზე არსებული თეორიების საფუძველზე ჰიპოთეზების შემუშავება. ევროკავშირის ინტეგრაციული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პარამეტრებისა და ელემენტების დადგენა–ანალიზი; არსებული თეორიების საფუძველზე რეგიონულ ინტეგრაციაში საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრა.

გ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მეთოდურ უზრუნველყოფას (სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალის მომზადება), ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას;

დ) ახდენს ინსტიტუტის აკადემიური დატვირთვის ფორმირებას და ადმინისტრირებას;

ე) დეკანის წინაშე ინიცირებას უკეთებს პედაგოგების (მოწვეული პროფესორები და მასწავლებლები) მოწვევას სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ვაკანტური აკადემიური დატვირთვისარსებობისშემთხვევაში;

ვ) უზრუნველყოფს სწავლების არსებული მეთოდების ეფექტურად გამოყენების გზით სწავლების ხარისხის ამაღლებას, სწავლების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, სასწავლო პროცესის სრულყოფას;

ზ) ორგანიზაციას უწევსსტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

თ) ახორციელებს მაგისტრანტების და დოქტორანტების (სადოქტორო პროგრამის შექმნისა და განხორციელების შემთხვევაში) თემებით და ხელმძღვანელებით უზრუნველყოფას;

ი) ხელს უწყობს სასწავლო-პედაგოგიური კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

კ) ინსტიტუტის პროფილის შესაბამისად ამყარებს შემოქმედებით კავშირებს და თანამშრომლობს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან;

ლ) ახორციელებს მრავალმხრივ კომპლექსურ სამეცნიერო კვლევებს.

კერძოდ:

1. ინსტიტუტი ორიენტირებულია კომპლექსურად, დინამიკაში მეცნიერულად იკვლიოს და გაანალიზოს ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური, უსაფრთხოების, რელიგიური, ჰუმანიტარული პროცესები. მიღებული კვლევის შედეგები რეკომენდაციების სახით მიაწოდოს დაინტერესებულ სტრუქტურებს.
2. თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიით შეისწავლოს საქართველოს ევროინტეგრაციულ პროცესებში ჩრთულობის ქართულ-ევროპული იდენტობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები. ამის საფუძველზე წარმოადგინოს ქართულ აზროვნებაში ევროპულობის დამკვიდრების დინამიკა.
3. საუკუნეების მანძილზე შეძენილი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე კომპლექსური შეფასება მიეცეს საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს, რაც საქართველო–ევროპის ურთიერთობის სავარაუდო მოდელს გამოავლენს.

4. კვლევის საგანი იქნება საქართველო–ევროპის ურთიერთობების რეგიონალური ასპექტები, მათ შორის ურთიერთქმედების პერსპექტივები უსაფრთხოების უზრუნველყოფის, აგრეთვე ძველი და ახალი საერთაშორისო კონფლიქტების და კრიზისების რეგულირების საკითხებში. ძირითადი ყურადღება გამახვილდება საქართველო–ევროპის ურთიერთობის ირგვლივ პოლიტიკური დაპირისპირების ანალიზზე; ორიენტირება იმ მამოძრავებელ ძალებზე, რომლებიც ზემოქმედებენ როგორც თანამედროვე, ისე მომავალ ურთიერთობებზე, განზოგადების პრინციპით წარმოჩინდება საქართველოში კონკრეტული ადმინისტრაციების მიერ გატარებული პოლიტიკური ტენდენციები.
5. აქტუალურ საკვლევ თემად მოიაზრება ევროპის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში; შეისწავლება აღნიშნული პოლიტიკის ფორმირების შიდა ფაქტორები და მექანიზმები; საგარეო ფაქტორების ზეგავლენა ევროპის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაზე; ისლამისტების საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ქმედებები.
6. შეისწავლება ევროპის ქვეყნების შიდა სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები; საგარეო ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური საკითხები; ევროპის პოზიცია მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში და თანამედროვე ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისის გადალახვის მიმართულებით; არასამთავრობო სექტორები, კულტურის პოლიტიკის საკითხები; პოლიტიკური პარტიები და არჩევნების პროცესი, ევროინტეგრაციის პრობლემები; ეთნო–კულტურის საკითხები ევროპის რეგიონებში, ეთნიკურ ერთეულთა ურთიერთობები; ევროპული კულტურის თანამედროვე მდგომარეობა და აღნიშნულ სფეროში მთავრობათა პოლიტიკის მიმართულებათა და მეთოდების ანალიზი.
7. საკვლევი ორიენტირებია ევროპის სახელმწიფოთა სახელისუფლო და პოლიტიკური ინსტიტუციები, პოლიტიკური პროცესები, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემები, თანამედროვე ევროპული

პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის თავისებურებები, ლობიზმი, სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების საკითხები, შრომითი ურთიერთობების სახელმწიფოებრივი რეგულირება, ერთაშორისი ურთიერთობების ევროპული მოდელი და იმიგრაციის საკითხები. ადამიანის სამართლებრივი უფლებები, ევროპის კონსტიტუციური უფლებები, სასამართლო წყობილება და სასამართლო წარმოება.

8. ევროპულ პოლიტოლოგიაში, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და ისტორიაში, საგარეო პოლიტიკურ ცნობიერებაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონცეფციებსა და სტრატეგიებში საქართველოს ადგილისა და ფუნქციის ანალიზი.
9. შეისწავლება ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა საგარეო ეკონომიკის პოლიტიკის კონტექსტში, სავაჭრო პოლიტიკის უმთავრესი კონცეფციები და მიმართულებები, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების საკითხები. ფინანსური ბაზრების ფორმირების ტენდენციების გამოვლენა, ევროპის მიმართულებების და მასშტაბების გავლენა მსოფლიო საფინანსო სფეროზე, მათი გამოცდილების კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც საქართველოსთვის იქნება საინტერესო.
10. შეისწავლის ევროპის ქვეყნების სამხედრო პოლიტიკის ფორმირების პროცესებს, როგორც სტრატეგიის და უსაფრთხოების ინსტრუმენტს და შემადგენელ ნაწილს; უწყებათაშორისი კოორდინაციის პრობლემებს; სამხედრო პოლიტიკის რეგიონალურ ასპექტებს; განიარაღების და გაუვრცელებლობის პრობლემებს; ევროპის ადგილს საერთაშორისო სამხედრო და სამხედრო–სამრეწველო პოლიტიკაში.
11. ინსტიტუტი ორიენტირებულია იკვლიოს ევროპაში მიმდინარე ტრანსფორმაციები; წარმოადგინოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები პოლიცენტრული მსოფლიოს ფორმირების პირობებში საქართველოს როლსა და ევროპულ ცივილიზაციაში მის ადგილზე; დაადგინოს

ანალიტიკური შეფასებებისას მნიშვნელოვანი პროგნოზული მიმართულება; კვლევების შედეგები აიყვანოს პრაქტიკული დასკვნებისა და რეკომენდაციების დონეზე, რომელსაც რეგულარულად მიაწვდის დაინტერესებულ სტრუქტურებს და განუხრელად ახდენს მათ საექსპერტო–ანალიტიკურ უზრუნველყოფას.

მ) ატარებს სამეცნიერო-მეთოდურ სემინარებს, იძლევა ექსპერტულ დასკვნებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და პროექტებზე;

ნ) ახორციელებს სამაგისტრო საკვალიფიკაციო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირებას; რეგულარულად ატარებს კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სამეცნიერო მეთოდურ სემინარებს და სხვა სახის ღონისძიებებს; მათ შორის, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლიბით, ევროპასთან ურთიერთობების და ზოგადად ევროპის საკითხებზე. ინსტიტუტის საგანმანათლებლო და კვლევითი გეგმებიდან გამომდინარე აქვეყნებს სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და ნაშრომების (ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემები);

ო) საკუთარი პროფილის შესაბამისად თანამშრომლობს სხვადასხვა დაწესებულებებთან და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა შრომით დასაქმებას.

პ) სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურების შეკვეთით და უნივერსიტეტთან შეთანხმებით ახორციელებს საექსპერტო–ანალიტიკურ სამუშაოებს;

ჟ) მონაწილეობს გარეშე ორგანიზაციების სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერტო–ანალიტიკური პროექტების განხორციელებაში, თუ არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ინტერესებს, მიზნებს და ამოცანებს;

რ) სამეცნიერო-კვლევების, პროექტების და პუბლიკაციების საფუძველზე განიხილავს და ამზადებს რეკომენდაციებს;

ს) თანამშრომლობს სამეცნიერო ფონდებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის საზღვარგარეთის, რომლებიც ეწევიან ფინანსურ დახმარებას (გრანტი).

თავი III. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა

3.1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც, როგორც

წესი, არის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი.

3.2. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ინსტიტუტის დირექტორი ინიშნება 4 წლის ვადით;

ბ) ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

გ) დეკანის, ფაკულტეტის საბჭოს, საინიციატივო ჯგუფის წარდგინების ან/და პირადი განცხადების საფუძველზე აკადემიური საბჭო ისმენს თითოეული კანდიდატის მიერ ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და ფარული კენჭისყრის საფუძველზე რექტორს დასანიშნად წარუდგენს კანდიდატს;

დ) ინსტიტუტის დირექტორი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირი;

ე) ინსტიტუტის დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში რექტორის ბრძანებით ინიშნება მისი მოვალეობის შემსრულებელი.

3.5. ინსტიტუტის დირექტორის გათავისუფლების საფუძველია აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილება.

3.4. ინსტიტუტის დირექტორი შეიმუშავებს ინსტიტუტის საქმიანობის პოლიტიკას და სტრატეგიას, განსაზღვრავს სამუშაო თემატიკას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომელთა შორის;

3.5. ინსტიტუტის დირექტორი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

ბ) მოაწყოს ინსტიტუტის მიერ მომზადებული სასწავლო პროგრამების, სამეცნიერო შრომების, განხორციელებული/მიმდინარე პროექტების, გამოშვებული სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და ა.შ. პრეზენტაციების ორგანიზება;

გ) განახორციელოს ინსტიტუტის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;

დ) მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს.

3.6 ინსტიტუტის დირექტორს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრაზე;

3.7 ინსტიტუტის დირექტორს ენიჭება პასუხისმგებლობა ინსტიტუტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე, შენახვასა და მის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;

3.8 ინსტიტუტი ორიენტირებულია ყავდეს სამეცნიერო პერსონალი. შემადგენლობა განისაზღვრება პროექტების სპეციფიკის და შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით;

3.9 ინსტიტუტი სამეცნიერო პერსონალი ინიშნება და სამუშაოდან თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით;

3.10 ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ინსტიტუტის ბიუჯეტის და მისი დებულებით განსაზღვრული სხვა შემოსავლების გათვალისწინებით;

3.11 იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესისა და ფორმების შესაბამისად.

თავი IV. ინსტიტუტის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

4.1. ინსტიტუტის მისამართია: 0175 საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77; VI კორპუსი.

4.2. ინსტიტუტი წარმოადგენს უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზაციულ ერთეულს, რომელზედაც ვრცელდება სტუ-ში ფაკულტეტებთან

ფინანსური ურთიერთობების რეგულირების დადგენილი წესი, აგრეთვე თვითდაფინანსების პრინციპით განხორციელებული დაკვეთების შემთხვევაში თვითდაფინანსების ცენტრისათვის გათვალისწინებული წესები;

4.3. გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;

4.4. ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების, ხელშეკრულებების, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტების მომზადების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე, ახორციელებს დირექტორის მოადგილე და სწავლული მდივანი.

თავი V. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

5.1. ინსტიტუტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VI. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

6.1. დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორი, წარადგენს ფაკულტეტის საბჭო, განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი